



21 ოქტომბერი 2024



N 21/10848

შპს „ნოვა ფიქს“

საქართველო, ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, N 261

novafix@nova.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი N7675 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: მეთანოლი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, დიმეთილპროპანი (პენტანი), მეთილპროპანი (იზობუტანი), სტიროლი (ვინილბენზოლი), მტვერი (მყარი ნაწილაკები) და არაორგანული (ცემენტის) მტვერი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს არც უახლოეს მოსახლესთან (95 მ) მიმართებით და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, თუმცა აღნიშნული ნივთიერებები არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში მოცემული ნედლეულის ან/და წარმოების პროცესებში გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა ჩამონათვალს. მაგალითად, გზშ-ის ანგარიშში ნედლეულის ჩამონათვალში (გვ.15) მოცემულია ეთანოლი, ხოლო გაფრქვევის რაოდენობრივი და გაბნევის ანგარიშები განხორციელებულია მეთანოლზე. ასევე, თხევადი აირის შემადგენლობა ნედლეულის ჩამონათვალში მოცემულია, როგორც იზობუტანის და დიმეთილეთერის (DME) ნარევი, ხოლო გაბნევის ანგარიში განხორციელებულია იზობუტანისა და დიმეთილპროპანისთვის ცალ-ცალკე, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხოების პასპორტები (MSDS), მათ შორის, ასევე მოცემული უნდა იყოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული თხევადი აირის კომპონენტური შემადგენლობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში იზობუტანისთვის (თხევადი გაზი) გათვალისწინებულია სამი ერთეული მიწისქვეშა ავზი, ხოლო ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ანგარიში მოცემულია მხოლოდ 2 ერთეული რეზერვუარისთვის. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია 4 ერთეული სილოსი, რომლებიც განკუთვნილია ცემენტის და გამომშრალი არაგამოყენებადი და გამოსაყენებელი ქვიშისთვის. ამასთან, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გაფრქვევის ანგარიში განხორციელებულია მხოლოდ 1 ერთეული ცემენტის სილოსისთვის. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში არ არის მოცემული ინფორმაცია გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგს, მათ შორის, ინსტრუმენტული მეთოდით თვითმონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების შესახებ, შესაბამისად, საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების თვალსაზრისით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პლასტიკური მასალის წარმოების და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ციკლის ტემპერატურული რეჟიმების შესახებ, ასევე, პოლისტიროლის ფილების საწარმოს შესაფუთი ღუმელის და ზეთზე მომუშავე გამაცხელებელი ჩილერების დახასიათება;
- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების თვალსაზრისით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წარმოების პროცესში (როგორც პლასტიკური მასალების წარმოება/აღდგენის, ისე წებო-ცემენტის წარმოებისას) გამოყენებულ ლენტურ ტრანსპორტიორებზე, ასევე, წებო-ცემენტის მიქსერში დანამატების ხელით ჩატვირთვის უბნის აღწერა/დახასიათება;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი წებო-ცემენტის საწარმო, ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ხმაურ-წარმომქმნელ ობიექტს. მოძიებული ინფორმაციით წებო-ცემენტის საწარმოო ხაზის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ხმაურის დონე არ აღემატება 60 დბა-ს. წარმოდგენილი უნდა იყოს რა ინფორმაციის საფუძველზეა შეფასებული წებო-ცემენტის საწარმოო ხაზის ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის მაქსიმალური დონე;
- საპროექტო ტერიტორია (ს/კ 01.12.01.003.288) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მიხედვით, სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ასევე, სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისთვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება. სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი. ამასთან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, მიწის ნაკვეთზე ს/კ N01.12.01.003.288, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (No6158195; 11.10.2022) თხევადი ნივთიერებების საცავის განთავსების მიზნით. ვინაიდან, სააგენტოში წარმოდგენილია პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობის თაობაზე გზშ-ის ანგარიში, საქმიანობის ზონირებასთან თავსებადობასთან დაკავშირებული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას (საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებას) სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან;

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/10848-21-2-202410211755>

